წერილის ნომერი: **30-302605440**
თარიღი: **23/02/2026**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძე

ბატონო ბესიკ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ, მიმდინარე წლის 20 თებერვლის N30-302605193 განმარტებითი ბარათით, ლანჩხუთის მუნიციპლიტეტის საკრებულოში განსახილველად წარმოადგინა ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ზემოაღნიშნულ განმარტებით ბარათსა და პროექტში, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა გამოთვლილია ქონების ღირებულების საწყისი ფასიდან 58640 ლარიდან, გასაანგარიშებელი კოეფიციენტის (10 %) შესაბამისად, რომლის თანახმად ის არის 5864 ლარი, ნაცვლად გაწერილი ციფრისა - 586.40 ლარის.

წარმოგიდგენთ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების შესწორებულ პროექტს განსახილველად.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2026 წლის თებერვალი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 115-ე მუხლის პირველი ნაწილის და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯაპანაში მდებარე 8000.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.04.45.232) ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით ქონების საბაზრო ღირებულების 58640 ((ორმოცდათვრამეტიათას ექვსას ორმოცი) შეფასება განსაზღვრულია 2024 წლის 29 ნოემბრის სსიპ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს N008 223824 დასკვნით) ლარის 10 %-ის ოდენობით, რაც შეადგენს 5864 (ხუთიათას რვაას სამოცდაოთხი) ლარს.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზესიკ ტაბიძე**